ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1102524

ნომერი: AR1193321

თარიღი : 28.01.2014

გაცემის თარიღი : 04.02.2014

გაცნობის თარიღი : 04.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ დეკანოიძე პ/ნ 01008022301
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 75 კორ. 8 ბ. 33

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა (მუზეუმი, სასტუმრო, ოფისები)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: იური პუჩინსკი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,სიტი ემ''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204497295
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: იციკ მოშე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01422314-3

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/1288
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 19.08.2008

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 აგვისტოს N№/1288 ბრძანებასა და 2008 წლის 19 აგვისტოს N№/1288–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში
მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 28 დეკემბერს №03/1574 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გუდიაშვილის ქ. N3–ში, შ.პ.ს. ,,სიტი ემ''–ის და სახელმწიფოს თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (მუზეუმი, სასტუმრო, ოფისები) არქიტექტურული პროექტი.
2008 წლის 19 აგვისტოს N№/1288 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2011 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით. არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 აგვისტოს N3345 ბრძანებით შევიდა ცვლილება მშენებლობის დასრულების თარიღში და ვადა განისაზღვრა 2014 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.
2014 წლის 28 იანვარს N AR1193321 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. კახაბერ დეკანოიძემ, რომელმაც მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 აგვისტოს N№/1288 ბრძანებასა და 2008 წლის 19 აგვისტოს N№/1288–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 20 თებერვლის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 20 თებერვლის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 19 აგვისტოს N№/1288 ბრძანებასა და ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 22 აგვისტოს N3345 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.